

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“
ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	5-25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯიას“ პარტნიორებს და ხელმძღვანელობას

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ემ-ეს-სი ჯორჯიას“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლობები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არც ახლა და არც მომავალში არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფას-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:


- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 8 აგვისტო

თბილისი, საქართველო

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	72,355	122,397
გაწეული მომსახურებების თვითღირებულება	6	(38,722)	(72,655)
საერთო მოგება		33,633	49,742
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(6,786)	(6,040)
საოპერაციო მოგება		26,847	43,702
ფინანსური შემოსავალი	12,13	3,021	3,313
ფინანსური ხარჯი		(14)	(6)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		84	–
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციიდან		(1,240)	(300)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის დანარიცხი	11	(46)	(39)
მოგება დაბეგვრამდე		28,652	46,670
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(2,712)	(5,793)
წლის მოგება		25,940	40,877
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		25,940	40,877

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელი მოეწერა შპს „ემ-ეს-სი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 8 აგვისტოს:

ალექან ალიჯიქ
მმართველი დირექტორი
შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

თამარ ლომიძე
მთავარი ფინანსური ოფიცერი
შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	5	72,355	122,397
გაწეული მომსახურებების თვითღირებულება	6	(38,722)	(72,655)
საერთო მოგება		33,633	49,742
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(6,786)	(6,040)
საოპერაციო მოგება		26,847	43,702
ფინანსური შემოსავალი	12,13	3,021	3,313
ფინანსური ხარჯი		(14)	(6)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		84	-
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციიდან		(1,240)	(300)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის დანარიცხი	11	(46)	(39)
მოგება დაბეგვრამდე		28,652	46,670
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(2,712)	(5,793)
წლის მოგება		25,940	40,877
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		25,940	40,877

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელი მოეწერა შპს „ემ-ეს-სი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 8 აგვისტოს:

ალექსანდრე აბოიძე
მმართველი დირექტორი
შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“



თამარ ლომიძე
მთავარი ფინანსური ოფიცერი
შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

5-25 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	688	601
აქტივების გამოყენების უფლება	10	1,066	–
არამატერიალური აქტივები		63	73
გაცემული სესხი	13	3,347	1,204
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,164	1,878
მოკლევადიანი აქტივები			
გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივები		147	124
სახელშეკრულებო აქტივები		461	76
გაცემული სესხი	13	1,835	433
სავაჭრო მოთხოვნები	11	8,131	1,868
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12	33,387	12,964
სულ მოკლევადიანი აქტივები		43,961	15,465
სულ აქტივები		49,125	17,343
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		50	50
გაუნაწილებელი მოგება		6,798	1,733
სულ საკუთარი კაპიტალი	14	6,848	1,783
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	763	–
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		763	–
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	15	41,050	14,673
საგადასახადო ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა		54	79
მოგების გადასახადის ვალდებულება	8	58	156
საიჯარო ვალდებულებები	10	351	–
სახელშეკრულებო ვალდებულებები		1	652
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		41,514	15,560
სულ ვალდებულებები		42,277	15,560
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		49,125	17,343

5-25 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	50	6,011	6,061
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	40,877	40,877
დივიდენდები (14 შენიშვნა)	–	(45,155)	(45,155)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50	1,733	1,783
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	25,940	25,940
დივიდენდები (14 შენიშვნა)	–	(20,875)	(20,875)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50	6,798	6,848

5-25 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		28,652	46,670
<i>არაფულადი კორექტირებები გადასახადით დაბეგვრამდე ზარალის წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით</i>			
ცვეთა და ამორტიზაცია	7	195	299
ფინანსური შემოსავალი	12,13	(3,021)	(3,313)
ფინანსური ხარჯები		14	6
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	11	46	32
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა		-	(26)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა), წმინდა		285	(111)
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		26,171	43,557
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირება</i>			
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(6,270)	9,204
სახელშეკრულებო აქტივის ცვლილება		(385)	1,494
ცვლილება გადახდილ ავანსებსა და სხვა მოკლევადიან აქტივებში		(23)	54
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში, მოგების გადასახადის გარდა		(79)	(496)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		26,431	(25,195)
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში		(651)	15
		45,194	28,633
მიღებული ფინანსური შემოსავალი	12,13	3,021	3,290
გადახდილი მოგების გადასახადი	8	(2,810)	(5,455)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		45,405	26,468
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები	9	(226)	(196)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	45
შემოსულობა გაცემული სესხების დაფარვიდან		201	-
გაცემული სესხი	13	(3,782)	(1,614)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(3,807)	(1,765)
საფინანსო საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები	14	(20,875)	(45,155)
გადახდილი პროცენტი		-	(2)
იჯარის დაფარვა	10	(36)	(102)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(20,911)	(45,259)
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი კურსების ცვლილების ეფექტი		(264)	75
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)		20,423	(20,481)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	12	12,964	33,445
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	12	33,387	12,964

5-25 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ათას ლარში

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი იურიდიული მისამართია მ. ლებანიძის ქ. №17, 0102 თბილისი, საქართველო. კომპანიას სამი ოფისი აქვს თბილისში, ფოთსა და ბათუმში (საიდენტიფიკაციო კოდი: 205276681).

კომპანია 2009 წლის 7 აპრილს დაფუძნდა და მოქმედებს, როგორც კომპანიის „MSC Mediterranean Shipping Company SA“ („პრინციპალი“) გენერალური აგენტი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე. კომპანია ფოთის და ბათუმის პორტებში ფუნქციონირებს. კომპანიის ძირითადი საქმიანობებია კონტეინერების გადაზიდვა და ლოგისტიკური მომსახურება.

კომპანიის 80%-ს ფლობს სააქციო საზოგადოება „United Agencies Limited SA“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“), შვეიცარია, ხოლო მისი 20%-ის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინვეკო“ (ერთად მოხსენიებული „მშობელ საწარმოებად“).

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა „MSC Mediterranean Shipping Company SA“, რომელიც შვეიცარიაში რეგისტრირებული საწარმოა.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ჯერ არ დამტკიცებულა პარტნიორების მიერ.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ამონაგები

კომპანია სააგენტო მომსახურებებს გასწევს პრინციპალისთვის და ადგილობრივ სატერმინალო, ლოგისტიკურ და სხვადასხვა ადმინისტრაციულ მომსახურებებს სთავაზობს პრინციპალის საზღვაო გადაზიდვის მომხმარებლებს.

ამონაგები განისაზღვრება მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების საფუძველზე და გამოიცხადება პრინციპალის სახელით მიღებულ თანხებს. კომპანია ამონაგებს აღიარებს შესასრულებელი ვალდებულების დაკმაყოფილებისას.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ა) ამონაგები (გაგრძელება)

(i) პრინციპალის და აგენტის საზღაურები

სააგენტო საქმიანობის ფარგლებში კომპანია პრინციპალის სახელით იღებს საზღაურს კონკრეტულ მომსახურებებზე. ამგვარი საზღაური მოიცავს პრინციპალის სახელით განხორციელებულ საზღვაო გადაზიდვის, დემერიჯის და სხვა პრინციპალის მოთხოვნების აღრიცხვის მომსახურებებს.

ამ საქმიანობებში კომპანია არ მიიჩნევს პირველი რიგის პასუხისმგებლად შეასრულოს კონკრეტული მომსახურებების გაწევის პირობა. კომპანიას არ აქვს უფლებამოსილება დაადგინოს კონკრეტული მომსახურებების ღირებულება. კომპანიის მიერ ამ ხელშეკრულებების ფარგლებში მიღებული საზღაური წარმოადგენს პრინციპალის მიერ გადახდილ სააგენტო საკომისიოს. ამ ხელშეკრულებების ფარგლებში კომპანია იღებს პრინციპალის მომსახურების ანაზღაურებას პრინციპალის სახელით. მიღებულ თანხებს კომპანია იღებს პრინციპალის სააგენტო საკომისიოს გამოკლებით. კომპანია გასწევს საკრედიტო რისკს ამ ოპერაციებზე, რადგან ის ვალდებულია გადაუხადოს პრინციპალს მოკრებილი თანხა მაშინაც კი, თუ მომხმარებელი ვერ განახორციელებს გადახდას.

კომპანიამ განსაზღვრა, რომ ის არ აკონტროლებს კონკრეტულ მომსახურებებს მანამდე, სანამ ისინი არ გადაეცემა მომხმარებელს და შედეგად ამ საქმიანობებში ის არის აგენტი და არა პრინციპალი.

კომპანიამ აღიარა 1,882 ლარის და 3,038 ლარის ოდენობით სააგენტო საკომისიო შემოსავალი 2024 და 2023 წლებში, შესაბამისად (მე-5 შენიშვნა).

(ii) ამონაგები ადგილობრივი საქმიანობებიდან

კომპანია გასწევს სატერმინალო, ლოგისტიკურ და სხვადასხვა ადმინისტრაციულ მომსახურებებს პრინციპალის საზღვაო გადაზიდვის მომხმარებლებისთვის, რაც მოიცავს ყველა ამონაგებს, გარდა სააგენტოს საკომისიო შემოსავლისა. ამ საქმიანობებში კომპანია მიიჩნევს პირველი რიგის პასუხისმგებელ პირად განახორციელოს შესაბამისი მომსახურებები და შესაბამისად აღიაროს მომხმარებლებისგან შემოსული თანხები, როგორც საკუთარი ამონაგები, როდესაც შესაბამისი მომსახურება გაეწევა მომხმარებელს. მომსახურებების გაწევა ხდება დროთა განმავლობაში ან დროის კონკრეტულ მომენტში:

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ა) ამონაგები (გაგრძელება)

დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურებები:

ამონაგები გაწეული მომსახურებებიდან აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას, დაპირებული მომსახურებების მომხმარებლისთვის გადაცემის გზით. სატერმინალო მომსახურების შემოსავალი და სახმელეთო გადაზიდვებიდან შემოსავალი წარმოადგენს მომხმარებლისთვის დროთა განმავლობაში გადაცემულ მომსახურებებს. ამ მომსახურებებიდან ამონაგების აღიარება ხდება განხორციელებული ეტაპის გათვალისწინებით და ისინი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხებისა და რეზერვების, სავაჭრო ფასდათმობის და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

ეს მომსახურებები დაკმაყოფილდება დროთა განმავლობაში იმის გათვალისწინებით, რომ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და იყენებს კომპანიის მიერ შემოთავაზებულ მომსახურებას.

დროის გარკვეულ მომენტში გაწეული მომსახურებები

შემოსავალი კონტეინერების შენახვიდან, კონტეინერების სახმელეთო გადაზიდვისთვის სარგებლობაზე გადაცემისგან და სხვა საოპერაციო შემოსავალი მიიღება დროის მომენტში, ხოლო ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სრულდება მომხმარებლისთვის გასაწევი მომსახურება. შესაბამისად, ფასს (IFRS) 15-ის თანახმად, კომპანია აგრძელებს ამ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მომსახურებიდან / ხელშეკრულებების პაკეტის მომსახურების კომპონენტებიდან მიღებული შემოსავლის აღიარებას დროის გარკვეულ მომენტში და არა დროთა განმავლობაში.

(ბ) უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც ასევე არის კომპანიის სამუშაო ვალუტა, ვინაიდან ქართული ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს.

უცხოურ ვალუტაში შესრულებულ ოპერაციებს კომპანია თავდაპირველად აღრიცხავს ლარში, რომლის კონვერტაციაც ხდება ოპერაციის აღიარების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდება სამუშაო ვალუტის სპოტ-კურსით საანგარიშგებო თარიღში არსებული გაცვლითი კურსით. ფულადი ერთეულების ანგარიშსწორების ან გადაანგარიშებისას წარმოქმნილი სხვაობები აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(გ) გადასახადები

(i) მიმდინარე მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები არიან საქართველოში. 2021 წლის მაისი-დეკემბრის პერიოდში კომპანიას მიენიჭა საერთაშორისო კომპანიის სტატუსი, რომლის ფარგლებშიც მოგების გადასახადის განაკვეთი იყო 5/95. იგი გაუქმდა 2022 წლის იანვარში, ხოლო 2022 წლის 1 იანვრიდან კვლავ ამოქმედდა 15/85 მოგების გადასახადის განაკვეთი. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები სხვა საოპერაციო ხარჯებში სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების საგადასახადო აქტივის ან საგადასახადო ვალდებულების მუხლში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(გ) გადასახადები (გაგრძელება)

(iii) საგადასახადო აქტივების და საგადასახადო ვალდებულებების წმინდა წარმომადგენლობა

საქართველოს შემოსავლების სამსახური აკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ კომპანია მოგების გადასახადის გარდა ყველა საგადასახადო ვალდებულებასთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

(დ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამოკლებით. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ხარჯებს.

ცვეთის აღიარება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას.

აქტივის საშუალო სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
კომპიუტერული ტექნიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა აღჭურვილობა	5-7 წელი
საოფისე აღჭურვილობა	5-7 წელი

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(ე) იჯარები

აქტივების გამოყენების უფლება (ROUA)

კომპანია აქტივების გამოყენების უფლებას აღიარებს იჯარის ვადის დაწყების თარიღში (მაგ. თარიღში, როდესაც საიჯარო აქტივი გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი ხდება). აქტივის გამოყენების უფლება თვითღირებულებით ფასდება, ნებისმიერი დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ზარალის გამოკლებით, და კორექტირდება საიჯარო ვალდებულებების გადაფასების მიხედვით. აქტივების გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს საიჯარო ვალდებულებების აღიარებულ თანხას, თავდაპირველად გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს და იჯარის ვადის დაწყების თარიღში ან ამ თარიღამდე განხორციელებულ საიჯარო გადახდებს, ნებისმიერი მიღებული იჯარის წამახალისებელი გადახდის გამოკლებით. აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და აქტივების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადის განმავლობაში. ROUA შენობებს ცვეთა ერიცხებათ 3 წლის ან იჯარის ვადის განმავლობაში (რომელიც უფრო ადრეა).

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ე) იჯარები (გაგრძელება)

თუ საიჯარო აქტივის ფლობა გადაეცემა კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთა დაანგარიშდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულება

იჯარის ვადის დაწყების თარიღში კომპანია აღიარებს საიჯარო ვალდებულებებს, რომლებიც იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულებით ფასდება. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), შემცირებულ მისაღები იჯარის წამახალისებელი გადახდებით, ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც დამოკიდებულია ინდექსზე ან განაკვეთზე და თანხებს, რომელთა გადახდა მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით. საიჯარო გადახდები ასევე მოიცავს შესყიდვის უფლების აღსრულების ფასს, რომლის კომპანიის გამოყენებაც გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია და იჯარის შეწყვეტისთვის ჯარიმის გადახდებს, თუ იჯარის ვადა ასახავს კომპანიის მიერ შეწყვეტის უფლებით სარგებლობას.

ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან განაკვეთზე, აღიარდება, როგორც ხარჯი (თუ მათი გაწევა არ ხდება მარაგების წარმოებისთვის) იმ პერიოდში, რომელშიც წარმოიშობა გადახდის ინიცირების მოვლენა ან შემთხვევა.

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ, საიჯარო ვალდებულებების თანხა იზრდება, პროცენტის გაზრდის ასახვის მიზნით, და მცირდება - განხორციელებული საიჯარო გადახდებისთვის. ამასთან, საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ადგილი აქვს იჯარის ვადის მოდიფიცირებას ან შესწორებას, საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რაც გამოწვეულია ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრაში გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებით) ან საიჯარო აქტივის შეძენის ოფციის შეფასების ცვლილებას.

კომპანია ხარჯებს აღიარებს საიჯარო ვალდებულებაზე პროცენტის ფორმით, მოგებაში ან ზარალში ფინანსური ხარჯების ნაწილის სახით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე;
- ▶ მე-2 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;
- ▶ მე-3 დონე – შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, კომპანიამ აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირებაა საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოძინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებას აჭარბებს, აქტივი გაუფასურებულად მიიჩნევა და ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურება (გაგრძელება)

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამგვარი გარიგებების გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოიყენება შესაბამისი შეფასების მოდელი. ამ გამოთვლების დასაბუთება ხდება შეფასების კოეფიციენტებით, იმ აქციების კოტირებული ფასებით, რომლებიც საჯაროდ იყიდება ან სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

(თ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის ნაშთისგან ბანკში, რომელიც განთავსებულია პროცენტიან მიმდინარე ანგარიშებზე.

(ი) ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ახალი და შეცვლილი სტანდარტები

კომპანიამ პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის (თუ სხვაგვარად არ არის განსაზღვრული). კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს:

- ▶ *ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად - ბასს (IAS) 1-ის ცვლილებები;*
- ▶ *მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები;*
- ▶ *საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში - ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები.*

ამ ცვლილებებს არ გამოუწვევია დამატებითი განმარტებითი შენიშვნები, და მათ გავლენა არ ჰქონიათ კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე და განაგრძობს გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ▶ *„ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ - ბასს (IAS) 21-იც ცვლილებები - (ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისთვის);*

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

(ი) ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

► ფასს (IFRS) 18 - „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“:

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1-ს („ფინანსური ანგარიშგებების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგებისა და ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში განახორციელოს ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზღაურებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის აღდგენას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებები.

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვარიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს (IFRS) 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

დღეისათვის კომპანია მუშაობს ცვლილებების ყველა გავლენის გამოვლენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ ფინანსურ ანგარიშგებებზე ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

► ფასს (IFRS) 19 - შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: განმარტებითი შენიშვნები - (ძალაშია 2027 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის).

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასება და დაშვება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ განსჯას, შეფასებასა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ამონაგების გაცხადებულ თანხებზე, ხარჯებზე, აქტივებსა და ვალდებულებებზე და თანდართულ განმარტებით შენიშვნებზე, ასევე საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებსა და შეფასებებთან დაკავშირებით არსებული განუსაზღვრელობის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფასს სტანდარტების შესაბამისი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

კომპანიას აქვს სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები დაფინანსების კომპონენტის გარეშე, რომლის ვადა 12 თვეზე ნაკლებია. კომპანია ყველა თავისი სავაჭრო მოთხოვნების და გაცემული სესხების მიმართ იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის ფასს (IFRS) 9-ით დაშვებულ გამარტივებულ მიდგომას. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ შედეგებს, ფულის დროით ღირებულებას და გონივრულ და შესაფერის ინფორმაციას, რომელიც საანგარიშგებო თარიღისთვის არის ხელმისაწვდომი ზედმეტი დანახარჯების თუ ძალისხმევის გაწევის გარეშე, წარსული მოვლენების, არსებული პირობებისა და სამომავლო ეკონომიკური ვითარების პროგნოზების შესახებ.

შესაბამისად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 46 ლარის (2023 წლის 31 დეკემბერს: ნული ლარი) ოდენობით რეზერვი ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საუკეთესო შეფასებას წარმოადგენს (მე-11 შენიშვნა).

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. ამონაგები

	2024	2023
სააგენტო საკომისიო შემოსავალი	1,882	3,038
ამონაგები ადგილობრივი საქმიანობებიდან		
სატერმინალო მომსახურების შემოსავალი (ა)	42,628	90,622
კონტეინერის სახმელეთო გადაზიდვისთვის სარგებლობაზე გადაცემიდან შემოსავალი	9,336	10,441
კონტეინერის შენახვის შემოსავალი	6,740	5,993
სახმელეთო გადაზიდვების შემოსავალი	6,101	6,317
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5,668	5,986
სულ ამონაგები ადგილობრივი საქმიანობებიდან	70,473	119,359
სულ ამონაგები	72,355	122,397
დროთა განმავლობაში გაწეული მომსახურებები:	48,729	96,939
დროის გარკვეულ მომენტში გაწეული მომსახურებები	23,626	25,458
სულ ამონაგები	72,355	122,397

(ა) 2023 წლის 1 სექტემბრიდან კომპანიამ შეცვალა სატერმინალო მომსახურებების აღრიცხვის სტრუქტურა, საერთაშორისო ტრანსპორტირების ციკლთან შესაბამისობაში მოსვლის მიზნით. ეს იწვევს სატერმინალო მომსახურებებიდან შემოსავლის შემცირებას, რადგან კონტეინერის გემზე დატვირთვისა და გემიდან გადმოტვირთვიდან შემოსავლები პრინციპაღს მიეკუთვნა და არა აგენტს (კომპანიას).

სახელშეკრულებო ნაშთი

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვის გამოკლებით (მე-11 შენიშვნა)	8,131	1,868
სახელშეკრულებო აქტივები	461	76
სახელშეკრულებო ვალდებულებები	1	652

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავაჭრო მოთხოვნების ზრდა მეტწილად უკავშირდება მომხმარებლებისთვის მინიჭებული საკრედიტო ლიმიტების გახანგრძლივებას და ზრდას.

6. გაწეული მომსახურებების თვითღირებულება

	2024	2023
სატერმინალო მომსახურების ხარჯები	15,672	15,357
ტერმინალზე კონტეინერების შენახვის ხარჯები	9,136	6,875
კონტეინერების გემზე დატვირთვის და გემიდან გადმოტვირთვის ხარჯები (ა)	7,542	43,420
სახმელეთო გადაზიდვების ხარჯები	5,780	6,323
სხვა	592	680
სულ	38,722	72,655

(ა) კონტეინერის დატვირთვისა და გადმოტვირთვის ხარჯების შემცირებაზე იმოქმედა 2023 წლის 1 იანვრიდან დანერგილმა სატერმინალო მომსახურების აღრიცხვის შეცვლილმა სტრუქტურამ (მე-5 შენიშვნა).

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები	5,095	4,318
დაბალი ღირებულების იჯარის ხარჯები	461	327
პროგრამული უზრუნველყოფის ტექნოლოგიების საფასური	300	273
ცვეთა და ამორტიზაცია	195	299
სხვა	735	823
	6,786	6,040

8. მოგების გადასახადი

2024 წელს კომპანიამ მოგება-ზარალში აღიარა მოგების გადასახადის დანარიცხი განაწილებულ მოგებაზე (დივიდენდები) 2,712 ლარის (2023 წ.: 5,793 ლარი) ოდენობით. მოგების გადასახადის დარიცხვა ხდება მხოლოდ საქართველოს არარეზიდენტებზე განაწილებებზე.

მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს შემდეგს:

	2024	2023
სულ დივიდენდების განაწილება:	20,875	45,155
დივიდენდი კომპანიაზე „United Agencies Limited SA“ (შვეიცარია) (საქართველოს არა რეზიდენტი კომპანია)	16,700	36,124
დივიდენდი შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაზე „ინვეკო“ (საქართველოს რეზიდენტი)	4,175	9,031
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	15/85	15/85
	2,947	6,375
გადასახადით დაუბეგრავი შემოსავალი (ა)	(235)	(582)
წლის მოგების გადასახადის ხარჯი	2,712	5,793

(ა) მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად, რეზიდენტი ბანკების მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი გათავისუფლებულია საშემოსავლო გადასახადისგან.

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები

	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	კომპიუტერული ტექნიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	სულ
თვითღირებულება				
2023 წლის 1 იანვარს	291	845	295	1,431
შემოსვლები	160	25	11	196
გასვლები	(49)	(63)	–	(112)
2023 წლის 31 დეკემბერს	402	807	306	1,515
შემოსვლები	–	100	126	226
2024 წლის 31 დეკემბერს	402	907	433	1,741
ცვეთა და გაუფასურება				
2023 წლის 1 იანვარს	198	435	210	843
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	44	97	23	164
გასვლები	(44)	(49)	–	(93)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	198	483	233	914
ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	41	80	19	139
2024 წლის 31 დეკემბერს	239	563	252	1,053
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება				
2023 წლის 31 დეკემბერს	204	324	73	601
2024 წლის 31 დეკემბერს	163	344	181	688

10. იჯარები

ქვემოთ მოცემულია აქტივების გამოყენების უფლების და საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და ცვლილების დინამიკა პერიოდების განმავლობაში:

აქტივების გამოყენების უფლება

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–
შემოსვლები	1,111
ცვეთის დარიცხვა	(45)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,066

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

10. იჯარები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები

2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	–
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	14
შემოსვლები	1,104
გადახდები	(36)
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების დინამიკა	32
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,114
მოკლევადიანი	351
გრძელვადიანი	763

ქვემოთ მოცემულია მოგება-ზარალში აღიარებული თანხები: ფინანსური ხარჯები 14 ლარის ოდენობით 2024 წელს (2023 წ.: 6 ლარი)

2024 წელს კომპანიას აქვს მთლიანი ფულადი ნაკადების გასვლა იჯარებზე 36 ლარის (2023 წ.: 102 ლარი) ოდენობით.

11. სავაჭრო მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნები პრინციპალის სახელით	7,363	1,497
საკუთარი სავაჭრო მოთხოვნები	814	371
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი:		
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(46)	–
	8,131	1,868

ჩვეულებრივ მაქსიმალური კრედიტის ვადაა 30 დღე მომხმარებლისთვის მომსახურების გაცემიდან.

კომპანიისთვის სავაჭრო მოთხოვნებში ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთია:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ვადაგადაცილების გარეშე	7,157	1,556
30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	886	115
30-60 დღემდე ვადაგადაცილება	70	4
60-180 დღემდე ვადაგადაცილება	40	3
180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	24	190
სულ მთლიანი ნაშთი	8,177	1,868

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. სავაჭრო მოთხოვნები (გაგრძელება)

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხში აღებული ჰქონდა შემდეგ მოძრაობებს:

	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	–	4
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებული ანარიცხი	46	39
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის აღდგენა	–	(7)
ჩამოწერილი თანხები	–	(36)
31 დეკემბრის მდგომარეობით	46	–

12. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისგან 33,387 ლარის (2023 წ.: 12,964 ლარი) ოდენობით, რომელიც მოიცავს ქართულ კომერციულ ბანკებში განთავსებულ პროცენტთან მიმდინარე ანგარიშებს.

საპროცენტო შემოსავალმა ქართულ ბანკებში განთავსებულ ფულად სახსრებზე 2024 წელს 2,746 ლარი (2023 წ.: 3,290 ლარი) შეადგინა.

13. გაცემული სესხი

	2024	2023
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გაცემული მოკლევადიანი სესხები		
შპს „მედლოგ ფოთი“ (ა)	1,835	433
სულ მოკლევადიანი სესხები და ნასესხები სახსრები	1,835	433
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე გაცემული გრძელვადიანი სესხები		
შპს „მედლოგ ფოთი“ (ა)	3,347	1,204
სულ გრძელვადიანი სესხები და ნასესხები სახსრები	3,347	1,204

(ა) 2024 წელს კომპანიამ საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოზე (შპს „მედლოგ ფოთი“) გასცა 300 ათასი აშშ დოლარის (801 ლარი) ოდენობით სესხი (2023 წ.: 1,450 ათასი აშშ დოლარი (3,822 ლარი)). 2024 წელს გაცემული სესხის დაფარვის თარიღია 2028 წლის 30 აპრილი, ხოლო 2023 წელს გაცემული სესხის - 2027 წლის 31 ივლისი.

საპროცენტო შემოსავალმა ორივე სესხზე 2024 წლის განმავლობაში 275 ლარი (2023 წ.: 23 ლარი) შეადგინა.

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 50 ლარით განისაზღვრა. საკუთრების სტრუქტურა 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბერს ასეთი იყო:

„United Agencies Limited SA“, შვეიცარია	80%
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინვეკო“	20%
	100%

2024 წლის განმავლობაში კომპანიამ გამოაცხადა და სრულად გადაიხადა 20,875 ლარის (2023 წ.: 45,155 ლარი) ოდენობით დივიდენდები.

15. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები პრინციპალის წინაშე	35,282	10,502
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	5,768	4,171
	41,050	14,673

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ და მათი საშუალო ვადა ერთი თვეა.

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

მიმოხილვა

კომპანიის ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები შედგება სავაჭრო მოთხოვნებისგან, გაცემული სესხისგან, ადგილობრივ კომერციულ ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისგან, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისა და საიჯარო ვალდებულებებისგან.

კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკები.

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიაღდება. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელია საკრედიტო რისკი სავაჭრო მოთხოვნების, ასევე ბანკებში განთავსებული ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების გამო.

სავაჭრო მოთხოვნები

მომხმარებლის საკრედიტო რისკი იმართება კომპანიის მიერ დანერგილი კლიენტის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკით, პროცედურებითა და კონტროლის მექანიზმებით. კლიენტის საკრედიტო ხარისხი ფასდება შიდა საკრედიტო რეიტინგის შეფასების სისტემით და ინდივიდუალური საკრედიტო ლიმიტები განისაზღვრება მხოლოდ მსხვილი მუდმივი კლიენტებისთვის მათი კრედიტუნარიანობის შეფასების და ამ კლიენტთან კომპანიის გამოცდილების მიხედვით, ასევე კლიენტის მხრიდან

შესაბამისი საზღვაო ხაზის გამოყენებით საკონტეინერო მოცულობების რეგულარული გადაზიდვის გათვალისწინებით. საკრედიტო ლიმიტები კვარტალურად გადაიხედება კლიენტის ფაქტობრივი თანამშრომლობის მიხედვით და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად იცვლება.

კლიენტებს, რომლებიც კრედიტით არ იხდიან, როგორც წესი, იმპორტირებული ტვირთის კონტეინერები არ გადაეცემათ, სანამ არ დაფარავენ გადაცემის თარიღისთვის დარიცხულ ყოველგვარ ვალდებულებას. იმპორტირებული ტვირთის კონტეინერების სრულად გადაცემის შემდეგ გადასახადების შესაძლო დარიცხვის შემთხვევაში, კომპანია, როგორც წესი, კლიენტებისგან მოითხოვს პასუხისმგებლობის დაზღვევას, და ასევე შეიძლება მოითხოვოს საგარანტიო დეპოზიტები ან საბანკო გარანტიებიც.

ექსპორტის მთავარ კლიენტებს ზოგჯერ უფლება ეძლევათ, რომ გადმოტვირთვის ნავსადგურში ტვირთის შესვლამდე გადაიხადონ. ასეთ შემთხვევებში, გადმოტვირთვის ნავსადგურის აგენტს უფლება აქვს, გააჩეროს ტვირთი კომპანიის მიმართ ყველა ვალდებულების დაფარვამდე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ აღიარა 46 ლარის რეზერვი საკრედიტო ზარალზე, რომელიც უკავშირდება ინდივიდუალურად გაუფასურებულ მოთხოვნებს (2023 წლის 31 დეკემბრის: 0 ლარი). საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, სავაჭრო მოთხოვნების ამოღება, ძირითადად, 30 დღეში ხდება. საანგარიშგებო თარიღისთვის ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული მოთხოვნების ნაშთი შემდგომში ამოღებული იქნა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მთლიანად უმსხვილეს ქართულ ბანკებშია განთავსებული. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები არც გაუფასურებულია და არც ვადაგადაცილებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

გაცემული სესხი

კომპანიას არ აქვს შიდა საკრედიტო რეიტინგის სისტემა გაცემულ სესხებზე. კომპანია ატარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებას, მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის, სესხის გადახდასთან დაკავშირებული გამოცდილების და საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებით. კომპანიის შეფასებით გაცემული სესხი (მე-13 შენიშვნა) სრულად ამოღებადია და მასთან დაკავშირებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არ უღიარებია.

საანგარიშგებო თარიღისთვის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა წარმოდგენილია ფინანსური აქტივების თითოეული კლასის საბალანსო ღირებულებით.

(ბ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიას გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ კომპანიის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და კომპანიის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა მხოლოდ საიჯარო ვალდებულება და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას მხოლოდ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები ჰქონდა, რომლებიც უპროცენტოა, ხოლო მათი საშუალო ვადა ერთი თვეა.

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს მოიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სავალუტო რისკს. კომპანია არ იყენებს წარმოებულ ინსტრუმენტებს საპროცენტო განაკვეთის რისკის სამართავად, რადგან კომპანიის ფინანსური აქტივები ფიქსირებულგანაკვეთიანია. სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკები მოქმედებს, მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს, გაცემულ სესხს და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

კომპანია არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას. კომპანიის სავალუტო რისკები ასეთია:

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გაცემული სესხი	5,182	1,637
სავაჭრო მოთხოვნები	1,870	1,868
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2,651	7,299
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(39,267)	(13,947)
საიჯარო ვალდებულებები	(1,114)	–
სახელშეკრულებო ვალდებულებები	(1)	(652)
წმინდა	(29,565)	(3,795)

აშშ დოლართან მიმართებაში ლარის გამყარება/გაუფასურება 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა/(შემამცირებდა).

	გამყარება	გაუფასურება
2024 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (10%-იანი ცვლილება)	2,957	(2,957)
2023 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (10%-იანი ცვლილება)	380	(380)

(დ) კაპიტალის მართვა

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიას არ ეხება კაპიტალთან დაკავშირებული რაიმე გარე მოთხოვნები. კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის, რომ დაკმაყოფილდეს კომპანიის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

16.1 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია იმ მიახლოებული თანხის მიღება, რადაც ფინანსური ინსტრუმენტი გადაიცვლებოდა ინფორმირებულ და მოსურნე მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციისას. თუმცა, განუსაზღვრელობისა და სუბიექტური განსჯის გამო, სამართლიანი ღირებულება არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც უტყუარად რეალიზებადი აქტივების დაუყოვნებლივ გაყიდვისა თუ ვალდებულებების დაფარვის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება მათ საბალანსო ღირებულებასთან არის მიახლოებული.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

16. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა (გაგრძელება)

16.1 ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლე ვადიანობით (თორმეტ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება მათ სამართლიან ღირებულებას არის მიახლოებული და განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადების მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

ყველა ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც ცნობილია, სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მე-3 დონით ფასდება, გარდა ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტებისა, რომლებიც 1-ელი დონით არის შეფასებული.

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

ბასს (IAS) 24-ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

ცხრილში მოცემულია იმ გარიგებების მთლიანი თანხა, რომლებიც დაკავშირებულ მხარეებთან 2024 წლისა და 2023 წლის განმავლობაში განხორციელდა და 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარეების მიმართ დავალიანების ნაშთები:

	სააგენტო საკომისიო	ამონაგები დაკავშირე- ბული მხარეებისგან შესყიდვები	ფინანსური შემოსავალი	დაკავშირე- ბული მხარეებისგან მისაღები თანხები*	ვალდებუ- ლებები დაკავშირე- ბული მხარეების მიმართ
2024					
პრინციპალი	1,931	–	432	–	35,336
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ი საწარმო	–	579	28,043	5,217	1,843
	1,931	579	28,475	5,217	37,179
2023					
პრინციპალი	3,038	60	400	1,497	10,502
საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ ი საწარმო	–	2,281	26,248	1,637	2,936
	3,038	2,341	26,648	3,134	13,438

ოპერაციები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობასთან

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობამ 2024 წლის განმავლობაში ანაზღაურების სახით მიიღო 1,876 ლარი (2023 წ.: 1,554 ლარი), რაც აისახა ხელფასებსა და პერსონალზე გაწეულ სხვა ხარჯში.

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

მმართველობითი ანგარიშგება

მმართველობითი ანგარიშგების შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგება

მართვის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მმართველობითი ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანად და ზუსტად წარდგენას. ანგარიშგება მომზადებულია საბჭოსთან კოორდინირებული შიდა მიმოხილვის და კონტროლის პროცესების შესაბამისად. ანგარიში აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ალკან ალიჯიქ
მმართველი დირექტორი
შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

თამარ ლომიძე
მთავარი ფინანსური ოფიცერი
შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

მმართველობითი ანგარიშგების შესავალი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიშგება

მართვის პასუხისმგებლობა

კომპანიის ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს მმართველობითი ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანად და ზუსტად წარდგენას. ანგარიშგება მომზადებულია საბჭოსთან კოორდინირებული შიდა მიმოხილვის და კონტროლის პროცესების შესაბამისად. ანგარიში აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს.

ალკან ალექსი
მმართველი დირექტორი
შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“



თამარ ლომიძე
შთავარი ფინანსური ოფიცერი
შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“

კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის მიმოხილვა, საქმიანობის შედეგები და განვითარების გეგმები

კორპორაციული ინფორმაცია

შპს „ემ-ეს-სი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“) არის საქართველოში დაფუძნებული და მოქმედი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი იურიდიული მისამართია: მ. ლებანიძის ქ. №17, 0102 თბილისი, საქართველო. კომპანიას სამი ოფისი აქვს თბილისში, ფოთსა და ბათუმში.

კომპანია 2009 წლის 7 აპრილს დაფუძნდა და მოქმედებს, როგორც კომპანიის „MSC Mediterranean Shipping Company SA“ (შემდგომში „ემ-ეს-სი“ ან „პრინციპალი“) გენერალური აგენტი სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე. კომპანია ფოთის და ბათუმის პორტებში ფუნქციონირებს.

„MSC Mediterranean Shipping Company SA“ წარმოადგენს მსოფლიოში უდიდეს საზღვაო ხაზს. „ემ-ეს-სი ჯორჯია“ ავტორიტეტული გლობალური ბრენდის - „ემ-ეს-სის“ ადგილობრივი სააგენტო ოფისია.

„ემ-ეს-სი ჯორჯიას“ 80%-ს ფლობს „United Agencies Limited SA“ (შემდგომში „მშობელი საწარმო“), შვეიცარია, ხოლო მისი 20%-ის მფლობელია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ინვეკო“ (ერთად მოხსენიებული „მშობელ საწარმოებად“). 2024 წლის განმავლობაში კაპიტალის სტრუქტურაში ცვლილებები არ განხორციელებულა.

კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა შვეიცარიაში რეგისტრირებული საწარმო „MSC Mediterranean Shipping Company SA“.

კომპანია „ემ-ეს-სის“ სააგენტო მომსახურებას გასწევს, ასევე „ემ-ეს-სის“ საზღვაო გადაზიდვის კლიენტებს უზრუნველყოფს ადგილობრივი სატერმინალო, ინტერმოდალური, ლოგისტიკური და სხვადასხვა ადმინისტრაციული სერვისებით. სამხრეთ კავკასიის რეგიონში მოქმედი მსხვილი იმპორტიორების/ექსპორტიორებისა და მთავარი ექსპედიტორების უმრავლესობა „ემ-ეს-სი ჯორჯიას“ ადგილობრივად შეთავაზებული მომსახურებების კლიენტები არიან.

კომპანიას საქართველოში სამი ოფისი აქვს - თბილისში, ფოთსა და ბათუმში და ასევე წარმოდგენილია სომხეთსა და აზერბაიჯანში მესამე მხარე ქვეკონტრაქტორების სააგენტო ოფისებით. მთავარი საოპერაციო ოფისი მდებარეობს ფოთში, ხოლო კომერციულ და მმართველობით ფუნქციებს თბილისში მდებარე სათავო ოფისი ასრულებს. 2024 წლის ბოლოსთვის კომპანიაში სრულ განაკვეთზე დასაქმებული იყო სულ 59 თანამშრომელი (საშუალო მაჩვენებელი 2016 წლიდან უცვლელია): ფოთის ოფისში - 29, თბილისში - 23 და ბათუმში - 7 თანამშრომელი.

მთავარი ბაზრები და განვითარების გეგმები

სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე მშპ-ის ზრდის, რეგიონის მაკროეკონომიკური პარამეტრების გაუმჯობესების და გეოპოლიტიკური მიზეზების გამო, საქართველოს პორტებში დატვირთვა-გადმოცლის მთლიანი კონტეინერების მოცულობები (TEU¹) 2016-2019 წლებში იზრდებოდა; 2019 წელს სავსე კონტეინერების სრული მოცულობები, 2018 წელთან შედარებით (2018 წელს 15%-იანი წლიური ზრდის შემდეგ) 39.5%-ით გაიზარდა. ეს, ძირითადად, გამოწვეული იყო სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და ცენტრალურ აზიაში იმპორტზე მოთხოვნის ზრდით, რომლის დაკმაყოფილებაც საქართველოს პორტების მეშვეობით ხდება; კოვიდ-19-თან დაკავშირებული პრობლემების გამო სავსე კონტეინერების სრული მოცულობები 2020 წელს 16%-ით შემცირდა 2019 წელთან შედარებით. 2021 წელს დამატებით 13%-ით შემცირდა, რის გამოსწორებაც მომდევნო რამდენიმე წელიწადში მოხდა, იმპორტირებულ ტვირთებზე რეგიონის დიდი დამოკიდებულების გამო.

რუსეთ-უკრაინის ომის შედეგად, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვალში, ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან და ომმა ორივე მეზობელ ქვეყანაში და მეზობელი ქვეყნიდან კონტეინერიზებული მოცულობების მნიშვნელოვანი შემცირება განაპირობა. მეორე მხრივ, რუსეთზე დაწესებული სანქციების გამო გადაზიდვების მნიშვნელოვანი ნაწილი ქართული დერეფნით წარიმართა.

2022 წლისთვის „ემ-ეს-სის“ მიერ საქართველოს პორტებში გადაადგილებული სავსე კონტეინერების რაოდენობა (TEU) 22%-ით გაიზარდა; „ემ-ეს-სის“ მიერ გადაადგილებული საერთო მოცულობების ზრდა ძირითად განაპირობა რუსეთის სანქციების გამო საქართველოს დერეფანზე გაზრდილმა მოთხოვნამ, ამავედროულად, „ემ-ეს-სის“ საბაზრო წილი ოდნავ შემცირდა იმპორტში და 2021 წლის იმავე დონეზე დარჩა ექსპორტში. საერთო ჯამში, სავსე TEU-ს მოცულობა, რომელსაც „ემ-ეს-სი ჯორჯია“ 2022 წლის განმავლობაში გადაზიდავდა, 2021 წლის მაჩვენებელზე 16%-ით გაიზარდა, იმპორტი 11%-ით გაიზარდა, ხოლო ექსპორტი – 35%-ით. იმპორტის მოცულობები კიდევ უფრო გაიზარდა, 45%-ით 2023 წელს და სტაბილურ დონეზე შენარჩუნდა 2024 წლის განმავლობაში. ექსპორტის მოცულობამ 12%-ით იკლო 2023 წელს, ხოლო 2024 წელს ის 14%-ით გაიზარდა. მთლიანობაში, სავსე სტანდარტული კონტეინერის (TEU) მოცულობის ზრდის ეფექტმა 2023 წელს 33% შეადგინა, რასაც მოჰყვა საერთო 2%-იანი ზრდა 2024 წელს.

„ემ-ეს-სი ჯორჯია“ მოელის, რომ ფოთისა და ბათუმის გავლით ტრანზიტული გადაზიდვების მოცულობა მომდევნო წლებში კიდევ უფრო გაიზრდება, ბაზრის განვითარების, „ემ-ეს-სის“ მიერ შეთავაზებული უფრო სწრაფად დაკავშირების შესაძლებლობის და საოპერაციო ეფექტიანობის, ასევე ფოთში შპს „მედლოგ ჯორჯიას“ მიერ, ხოლო ბათუმში „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალის“ მიერ სხვადასხვა ახალი და გაუმჯობესებული ლოგისტიკური მომსახურების დაწერგვის გამო.

¹TEU (სტანდარტული კონტეინერი) არის 20-ფუტიანი კონტეინერის ეკვივალენტი, 2 TEU - 40-ფუტიანი კონტეინერის ეკვივალენტი.

ადგილობრივი ტერმინალის და სხვადასხვა ლოგისტიკური მომსახურების გარდა, „ემ-ეს-სი ჯორჯია“ მომხმარებლებს სახმელეთო მომსახურებასაც სთავაზობს. ეს მომსახურება, ძირითადად, გულისხმობს ტვირთის საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტირებას სამხრეთ კავკასიის ტერიტორიაზე. 2017 წლიდან, კომპანიის დაფარვის არეალის გაფართოების შემდეგ, შესაძლებელი გახდა სახმელეთო მომსახურება ცენტრალური აზიის მიმართულებითაც; ამ მარშრუტებზე გადაზიდვების მოცულობა 2018 წლიდან 2024 წლამდე კიდევ უფრო გაიზარდა. მომდევნო წლებში კომპანია აპირებს ცენტრალური აზიის მიმართულებით სახმელეთო გადაზიდვების მოცულობების ზრდას, მოქნილობის გაუმჯობესებას მომხმარებლებისთვის უფრო ეფექტური დაკავშირების, ხარისხიანი მომსახურების და კონკურენტული ფასების შეთავაზებით; შპს „მედლოგ ჯორჯიასთან“ თანამშრომლობის შედეგად, რომელმაც თავისი ინტერმოდალური ოპერაციები 2019 წელს დაიწყო, „ემ-ეს-სი ჯორჯია“ ბაზარს სთავაზობს უკეთეს მოქნილობას, კონკურენტულ ტარიფებს და ბაზრისთვის მეტი ლოგისტიკური შესაძლებლობების მინიჭების გეგმებს.

მომხმარებლებისთვის მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად და საოპერაციო ეფექტიანობის გასაზრდელად, „ემ-ეს-სი ჯორჯია“ ბოლო წლებში თავისი სისტემების დახვეწაში ინვესტიციებს ახორციელებს; 2017 წლის ბოლოდან კომპანიამ აამოქმედა ახალი პორტალი, რითაც მომხმარებლებს საშუალება მიეცათ, დღე-ღამის ნებისმიერ დროს ელექტრონულად დაეჯავშნათ კონტეინერები, თვალი ედევნებინათ გადაზიდვისთვის, აეტირათ და ჩამოეტვირთათ შესაბამისი დოკუმენტაცია; კომპანიამ 2018 წლიდან დაიწყო ელექტრონული შეკვეთების მიღება; 2020 წელს კოვიდ-19-ის გავლენების გამო, ონლაინ მომსახურება გაფართოვდა და უფრო ფართოდ გამოიყენება მომხმარებლების მიერ. გარდა ამისა, 2021 წლიდან კომპანიამ დაწერა ელექტრონული კონოსამენტი. ექსპორტისთვის ელექტრონული შეკვეთების გამოყენება მატულობდა და 2022 წელს მთლიანი ექსპორტის შეკვეთების წილის 80%-ზე მეტს მიაღწია. ეს დონე შენარჩუნდა 2023 წელს, რაც ამცირებს გარემოზე გავლენას. კომპანია აპირებს, რომ კიდევ უფრო განავითაროს თავისი მომხმარებლის პორტალი, რათა უფრო სწრაფი და მოსახერხებელი ონლაინ მომსახურება შესთავაზოს თავის მომხმარებლებს.

სისტემური განახლებები კომპანიის შიგნითაც იგეგმება, რათა შიდა საოპერაციო პროცესებისა და დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება და ნაწილობრივი ავტომატიზაცია მოხდეს, რაც ასევე უზრუნველყოფს მომავალში მომხმარებლების უფრო სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას.

კომპანიის განვითარების მიმართულებას, ძირითადად, განსაზღვრავს მომხმარებელთა მოთხოვნა მომსახურების გარკვეული ტიპის მომსახურებებზე „ემ-ეს-სი ჯორჯია“ მიზნად ისახავს ისეთი მომსახურების შეთავაზებას, რომლებიც მისადაგებული იქნება მომხმარებლის კონკრეტულ მოთხოვნებთან, მათთან ახლო კომუნიკაციის მეშვეობით, ასევე კონკურენტული ტარიფებისა თუ სატრანზიტო ვადების დაწესებით და მომხმარებლის საჭიროებებზე მორგებული მომსახურების გაწევით.

„ემ-ეს-სი ჯორჯია“ არის „ემ-ეს-სის“ გლობალური მდგრადი სტრატეგიის ნაწილი. ის ადგილობრივი მდგრადი განვითარების ანგარიშებს რეგულარულად წარუდგენს პრინციპალს. სხვა რეგულაციებთან ერთად, „ემ-ეს-სის“ საზღვაო ხაზი აკმაყოფილებს ევროკავშირის და საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის ვალდებულებას, რომელიც ეხება ეტაპობრივ დეკარბონიზაციას და ინვესტიციას ახორციელებს ახალი ტიპის ხომალდებში, ნახშირბადის უფრო ნაკლები გამოწვევით. საერთაშორისო საზღვაო ორგანიზაციის 2023 წლის სტრატეგია გეგმიდან სათბური გაზების ემისიების შემცირების შესახებ განსაზღვრავს საზღვაო ტრანსპორტის ამბიციის ახალ დონეს, რაც მოიცავს ნახშირბადის ინტენსიურობის 40%-ით შემცირებას 2030 წლისთვის და წმინდა ნულოვანი სათბური გაზების ემისიის მიღწევის მიზანს 2050 წლისთვის.

საქმიანობის მთავარი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

„ემ-ეს-სი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობა მუდმივად აკონტროლებს კომპანიის ზრდის გაზომვად მაჩვენებლებს და მისი საოპერაციო ეფექტურობის განმსაზღვრელ კოეფიციენტებს.

მომხმარებელთა კმაყოფილება, რომელიც ზრდის ერთ-ერთი მთავარი განმაპირობებელია, განისაზღვრება კომპანიის საბაზრო წილის ცვლილებით მთლიანი ბაზრის ფინანსურ შედეგებთან შედარებით; 2023 წლის შედეგების მიხედვით, „ემ-ეს-სის“ მიერ გადაზიდული საექსპორტო კონტეინერების მოცულობები ოდნავ უფრო დაბალი პროცენტული მაჩვენებლით შემცირდა, ვიდრე რეგიონის საკონტეინერო გადაზიდვების მთლიანი ბაზარი, მაშინ, როდესაც იმპორტის მოცულობები იზრდებოდა; იმპორტის მოცულობები 2024 წელს სტაბილური დარჩა, ბაზარზე „ემ-ეს-სი ჯორჯიას“ მზარდ წილთან ერთად. „ემ-ეს-სის“ საბაზრო წილი სტაბილურად უდიდესია რეგიონში წლების განმავლობაში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მომხმარებლები კონკურენტებზე მეტად „ემ-ეს-სის“ მომსახურებას ანიჭებენ უპირატესობას.

„ემ-ეს-სი ჯორჯია“ ყოველთვის სტაბილური დამსაქმებელი იყო. თანამშრომლების 80%-ზე მეტი კომპანიაში 5 წელზე მეტი ხნით რჩება და ბოლო ხუთი წელია, თანამშრომელთა ბრუნვა 5%-ზე ნაკლებია, რაც, თავისთავად, თანამშრომელთა კმაყოფილებაზე მეტყველებს.

კომპანიის ზრდისა და საოპერაციო ეფექტურობის შესაფასებლად ხელმძღვანელობის მიერ გაკონტროლებული მთავარი ფინანსური საშუალებაა შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA), რომელმაც 25,742 ათასი ლარი შეადგინა 2024 წელს (2023 წ.: 43 672 ლარი). 40.9%-იან კლება, განპირობებული იყო ტერმინალის მომსახურების ტარიფებიდან კონტეინერების ჩატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციების დეზაგრეგირებით და მათი მარწმუნებლისთვის მიკუთვნებით საზღვაო ტრანსპორტირების განუყოფელი ნაწილის სახით. კიდევ ერთი ფინანსური საზომი, რომლის მეშვეობითაც ხდება ფულადი ნაკადების მართვის ეფექტურობის მონიტორინგი, არის მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება მიმდინარე აქტივების შეფარდებით მიმდინარე ვალდებულებებთან; მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2023 წლის ბოლოსთვის 1.0-ს გაუტოლდა (2022 წ.: 1.13). 2024 წელს მოკლევადიანი კოეფიციენტი 1.06-მდე გაიზარდა.

მომავალ წელს კომპანია EBITDA-ს 5%-ით გაზრდას, ხოლო მიმდინარე ლიკვიდურობის 1-ზე მაღალი კოეფიციენტის შენარჩუნებას აპირებს.

ყველა დანარჩენი ფინანსური ინფორმაცია, რისკების და განუსაზღვრელობის ჩათვლით, წარმოდგენილია 2024 წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.